დღეს მოსდება სურამის ელექტროფიცირებულ საულელტეხილო უბნის საზეიმო გახსნა

წელიწადი მეთორმეტე

ბოლშევიკებო ყველა ძალღონისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.კ.პ. (ბ) ცენტრ. და ამიერ.კავკ. კომიტეტების და ს.კ. კავკ. ოკრკომის ორგანო

ტელეფონები რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოსი 10—58, მეო. განყოფილების—8—81

სამშაბათი, 16 აგვისტო 1932 წ. № 190 (3444)

„... რკინის გზის ტრანსპორტის წამყვან როლს მისი განვითარების პერსპექტივაში წარმოადგენს რკინის გზების ელექტროფიკაცია“

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის დადგენილება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ელექტროფიკაცია პლიუს საბჭოთა ხელისუფლება“:

დღეს სურამის უღელტეხილზე გარდა, რომელსაც ისინი ასრულებენ, საქართველოს და მთელ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები სოციალისტური მშენებლობის ეპოქაში გამარჯვების ზეიმობენ. დღეს ოფიციალურად იხსნება ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ულღრუბლად მნიშვნელოვანი ელექტროფიცირებული უბანი.

ლენინის იდეა—ტრანსპორტის ელექტროფიკაციაც—რეალურ ფაქტად ხდება. „კრასინი ამბობს—სწერდა ლენინი 12 წლის უკან,—რომ რკინის გზათა ელექტროფიკაცია ჩვენში შეუძლებელიაო. ასეა განა ეს? და თუ ასეა, იქნებ ეს შესაძლებელი გახდეს 5-10 წლის შემდეგ?. იქნებ ეს შესაძლებელია ურალზე?“.

ლენინმა ამ შემთხვევაშიაც საგებით სწორად განსაზღვრა დრო, როცა პროლეტარული სახელმწიფო, შინაური კონტრრევოლიუციის გასრესის შემდეგ, შესძლებდა სოციალისტური მშენებლობის ღონისძიება და სისტემაში ტრანსპორტის ელექტროფიკაციის თავის ერთ-ერთ პრაქტიკულ ამოცანად დასახვას. და ჩვენ ვხედავთ, რომ ხუთი წლის წინად ურალსა და ამიერ-კავკასიაში დაწყებულ იქნა მუშაობა რკინის გზათა ელექტროწევაზე გადაყვანისათვის. ამასთანავე საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-17 კონფერენცია იძლევა დირექტივას გაყვანილ იქნას 30 ათას კილომეტრის სიგრძის ახალი რკინის გზები და გვისახავს კონკრეტულ ღონისძიებებს რკინის გზის ტრანსპორტის ელექტრონის ენერგიაზე გადაყვანის საქმეში.

სხვანაირად წარმოუდგენელიც არის ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქცია. ელექტროწევა რკინის გზაზე იძლევა უდიდეს მატერიალურ ეფექტს. ამის საილუსტრაციოთ საკმარისია თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ელექტრომავალი ორთქლმავალთან შედარებით 200 პროცენტით უფრო მძლავრი მანქანაა. თუ დღეს სურამის უღელტეხილზე მუდმივ ექსპლოატაციაში იმყოფება სამოცამდე ორთქლმავალი, ელექტროფიკაციის სრულად ჩატარების შემდეგ, 60 ორთქლმავალის მუშაობის უკეთ და უფრო იაფად შესრულებას 10 ელექტრომავალი შესძლებს მთავარი, რაც უდიდეს უპირატესობას ანიჭებს ელექტროწევას, ეს არის სათბობი მასალის არაჩვეულებრივად დიდი ეკონომია. ცნობილია, რომ ორთქლმავალი უსარგებლოთ ნთქავს დიდძალ სათბობ მასალას. ყოველ 100 ფუთ ქვანახშირიდან, რომელსაც სწვავს ორთქლმავალი, სასარგებლო მუშაობას ხმარდება მხოლოდ ხუთი ფუთი. ეს მაშინ, როცა საწვავი მასალის მარგი კოეფიციენტი (სასარგებლო უნარი) ელექტრომავალზე ყოველ 100 ფუთ სათბობზე 70 ფუთს უდრის. ამას ზედ ერთვის მოძრაობის სისწრაფე, რომელიც ელექტროფიცირებულ რკინის გზაზე შეიძლება მაქსიმალურად იქნას განვითარებული. ყოველივე ამის შემდეგ აშკარა ხდება, თუ რამდენად რენტაბელურია რკინის გზის ელექტროწევაზე გადაყვანა.

სურამის უღელტეხილისათვის ელექტროფიკაციას გარდა ამისა კიდევ განსაკუთრებული მნიშვნელობაც აქვს. ერთმაგი ლიანდაგი, მთიანი რელიეფი და ამასთან დაკავშირებული მთელი რიგი სიძნელენი, სურამის უღელტეხილს ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ხდიდენ თითქმის ყველაზე „ვიწრო ადგილად“ ნორმალური ექსპლოატაციის მხრივ. ეს მაშინ, როცა ამიერ-კავკასიის რკინის გზები, ჩვეულებრივ ფუნქციებს ასრულებენ საერთაშორისო ტრანზიტის მნიშვნელოვან ნაწილს.

ამ ნიადაგზე ჩვენ ვხედავთ, რომ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად იქცა ამიერ-კავკასიის რკინის გზების ელექტროფიკაციის პრობლემისა.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტი შედგენილ იქნა ჯერ კიდევ 1926 წელს. ამ პროექტის მიხედვით ელექტროწევა უნდა შემოღებულიყო ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ელექტროწევა უნდა შემოღებულიყო ზესტაფონ-ხაშურის უბანზე, ხოლო მეორე ეტაპზე ელექტროწევა უნდა გავრცელებულიყო ხაშურ-ნაწყალთუბოს უბანზე. ამ პროექტის მიხედვით ელექტროწევა უნდა შემოღებულიყო ზესტაფონ-ხაშურის უბანზე 1931 წლის 1 ოქტომბრისათვის, ხოლო ხაშურ-ნაწყალთუბოს უბანზე 1932 წლის 1 ოქტომბრისათვის.

რევოლუციუნური ორგანიზაციების მასიური ჩხრეკა გერმანიაში

ბერლინი, 14 აგვისტო. „როტე ფანე“ გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს პოლიციის მიერ გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციების სადგომებში ჩატარებული ჩხრეკის შესახებ. **12 აგვისტოს პოლიციამ ალყა შემოარტყა კარლ ლიბკნეხტის სახელობის სახლს, სადაც მოთავსებულია გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, „როტე ფანე“-ს რედაქცია და სტამბა და გაჩხრიკა მთელი სახლი.** ჩხრეკა გაგრძელდა დაახლოვებით 2 საათს და მან პოლიციას არავითარი შედეგი არ მისცა. გაჩხრიკეს აგრეთვე რევოლიუციონური პროფოპოზიციის და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კავშირის სადგომები. პოლიციამ კონფისკაცია უყო ძეელ ცირკულიარებს და ლეგალურად გამოცემულ წიგნაკებს.

ჰამბურგში პოლიციამ გაჩხრიკა პარტიის საოლქო კომიტეტის სადგომი და მრავალი ადგილები, სადაც იკრიბებიან კომენტიდები. პოლიციამ აგრეთვე დაარყია **ჰამბურგის კომუნისტური გაზეთის—„ჰამბურგერ ფოლკსციტუნგ“-ის** რედაქცია. ჩხრეკის დროს პოლიციამ ვერც ერთ სადგომში ვერაფერი ვერ იპოვა.

ბრუნშვიგში გაჩხრეკილი იქნა კომპარტიის 10 ხელმძღვანელი მუშაკის ბინა.

ჰესენში გაჩხრიკეს კომპარტიის 36 ხე[illegible]ველი მუშაკი. კომუნისტები აგრეთვე გაჩხრიკეს იენერ ნიურნბერგში, კელნში, შტეტინში, ჰანოვერში, შტუტგარტში, ბრესლაუში, მაგდებურგში, და გალეში (ადრ).

ბერლინი, 14 აგვისტო. პოლიცია იძულებულია განაცხადოს, რომ ბერლინში კომპარტიის ხელმძღვანელო ორგანოების გაჩხრეკამ უშედეგოდ ჩაიარა მის მიერ კონფისკაციაშეტანილი მასალა არ იძლევა საკმარისი საბუთებს, იმისათვის, რომ აღიძრას საქმე კომპარტიის წინააღმდეგ.

ცნობებმა იმ ჩხრეკის შესახებ, რომელიც გუშინ სწარმოებდა მთელს გერმანიაში, დიდი აღშფოთება გამოიწვია მშრომელი მასების შორის. გუშინ მთელ რიგ ქალაქებში მილებულ იქნა სპონტანური რევოლიუციონური პროტესტის დემონსტრაციები. იმ დროს, როცა რევოლიუციონური პროფკავშირების ოპოზიციის ხელმძღვანელი ალბერტი მეტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც თეთრგვარდიელებს უწოდებს კაპიტალიზმის ლაქიებს და მუშათა კლასის მოსისხლეე მტრებს. რეზოლიუცია მოუწოდებს გამოყენებულ იქნას ძალა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ შანხაის მუშების ინტერესების დასაცავად (ადრ).

ესპანეთის კომპარტიის მოწოდება მშრომელი მასებისადმი

პარიზი, 14 აგვისტო. მადრიდიდან იუწყებიან, რომ ესპანეთის კომპარტიამ მშრომელ მასებს მოუწოდა რევოლიუციონერი ძალები საერთო ფრონტ-პაპენისათვის უნდობლობის ეოტუმის გამოცხადების შემდეგ მოხდება რეიხსტაგის დათხოვნა. ახალი არჩევნების დაუნიშნავად.

კათოლიკური პროფკავშირების ორგანო „დერ დეინე“ სწერს: „ფონ პაპენის მთავრობის წრეებიდან მიღებულია ცნობები, თითქოს ჰინდენბურგი სულთნატიტად მოსთხოვს ნაციონალ - სოციალისტებს და ცენტრის პარტიას ხალი დაუშვირონ პრუსიის ლანდტაგში“ (ადრ).

ფაშისტური ტერორი მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ

ბერლინი, 14 აგვისტო. მთელს გერმანიაში გრძელდება ნაციონალ-სოციალისტების ტერორი მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. დღეს დეში კომპარტიის კომიტეტის ბინაზე გადისროლეს ყუმბარა, ყუმბარა გადისროლეს აგრეთვე იმ სახლში, სადაც სცხოვრობს ბევრი კომუნისტი ბინა მუშა. კომპარტიის კომიტეტში გადასროლილი ყუმბარით მძიმედ დაიჭრა ერთი მუშა (ადრ).

მუშები აღშფოთებული არიან

თეთრგვარდიელი შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ

შანხაი, 14 აგვისტო. საავტობუსო კომპანიამ გამოაცხადა, რომ იგი სამსახურიდან ითხოვს ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო გაფიცვაში. თეთრგვარდიელებმა დაიკავეს გაფიცულთა ერთი ნაწილის ადგილები.

გაფიცული მუშების მიტინგზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოითხოვონ ყველა თეთრგვარდიელების დათხოვნა ერთი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები იმუქრებიან, რომ მიმართავენ ძალას. გუფრცულებმა სცემეს სამსახურიდან გამოყვანილ რამდენიმე თეთრგვარდიელ შტრეიკბრეხერს. გაფიცულთა მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც თეთრგვარდიელებს უწოდებს კაპიტალიზმის ლაქიებს და მუშათა კლასის მოსისხლეე მტრებს. რეზოლიუცია მოუწოდებს გამოყენებულ იქნას ძალა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ მუშების ინტერესების დასაცავად (ადრ).

საგზოთა ექსპერტები თურქეთის პრემიერთან

სტამბოლი, 14 აგვისტო. 13 აგვისტოს თურქეთის პრემიერ მინისტრმა **ისმეტ ფაშამ მიიღო** საბჭოთა ექსპერტები, რომლებთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. დარბაზობას აგრეთვე დაესწრო სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე ალიბეი.

საბჭოთა ექსპერტების დელეგაცია მიეშგზავრება ანკარაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს თურქეთის ინდუსტრიალიზაციის გეგმის დამუშავებაში. (ადრ).

ამხ. ფოსტერი განთავისუფლებულია თავდეც კვეშ

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. ამხ. ფოსტერი—კომპარტიის კანდიდატი პრეზიდენტის თანამდებობაზე — ხელახლა დაპატიმრეს სურენტონში (ფილადელფია და ქვანახშირის მრეწველობის ცენტრი პენსილვანიაში), სადაც იგი უნდა გამოსულიყო საარჩევნო კრებაზე. ფოსტერი განთავისუფლებულია თავდების ქვეშ. ეს მესამეჯერაა, რაც ამხ. ფოსტერს ამპატიმრებენ საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან (ადრ).

დალტონი სოციალისტური მრეწველობის უპირატესობათა შესახებ

ლენინგრადი, 14 აგვისტო. ლეიბორისტული მთავრობის სავარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა პოსტანოვნიკ **დალტონმა**, რომელმაც იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, რუსეთის დეპუტათა საბჭოების თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა:

„ვპრუნდები რა ინგლისში, ესლა უფრო მეტად ვარ დარწმუნებული სოციალისტური მრეწველობის უპირატესობაში. სხვა ქვეყნებში რომ სოციალისტური სისტემა არსებობდეს, იქ მრეწველობა სულ სხვა ნაირად განვითარდებოდა და მე ნათლად ვრწმუნდები, რომ გეგმიან სისტემას დიდი უპირატესობა აქვს არაგეგმიან სისტემასთან შედარებით“ (ადრ).

გემი „საბჭოთა ნავთი“-ს ეკიპაჟის დაჯილდოება

მოსკოვი, 15 აგვისტო. წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარმა **ამხ. იანსონმა** განსაკუთრებული ბრძანებით აღნიშნა გემი „საბჭოთა ნავთი“-ს ეკიპაჟის გმირობა, რომელმაც დაღუპვას გადაარჩინა საფრანგეთის გემის „ჟორჟ ფილიპპარ“-ის 478 მეზღვაი. 12 კაცი მეზღვაოა გადარჩენის დროს განსაკუთრებული მამაცობის, ენერგიის და უნარის გამოჩენისათვის დაჯილდოებულნი არიან წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სიგელ-ჯილდოთი. „საბჭოთა ნავთი“-ს მთელ ეკიპაჟს **ფულადი პრემია მიეცა ორი თვის ჯამაგირის.** (ადრ).

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

მოსკოვი, 14 აგვისტო.

ქვანახშირი

11 აგვისტოს დონბასში ამოღებულია 104.153 ტონა ქვანახშირი (წინადღით ამოღებული იყო 103.040 ტონა ქვანახშირი).

ლითონი

11 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გამოდნობილია 16.579 ტონა თუჯი (წინადღით გამოდნობილი იყო 15,690 ტონა) და 13.965 ტონა ფოლადი (წინადღით გამოდნობილი იყო 14,052 ტონა) (ადრ).

პროკურატურის ათი წლის თავზე

10 წელიწადია პროკურატურის დაარსების დღიდან. პროკურატურა ამ. ლენინის წინადადებით მოეწყო. ამხ. ლენინმა ამხ. სტალინისადმი გაგზავნილ ცნობილ წერილში მოკლედ და ყველასათვის გასაგებით განმარტა პროკურატურის როლი რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეში. ალნიშნულ წერილში მან სასტიკად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვინც პროკურატურის ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებისაგან დამორჩილებას მოითხოვდა. ის გადაჭრით მოითხოვდა პროკურორის სრულ დამოუკიდებლობას ადგილობრივ ორგანოებისაგან. ამით მას უნდოდა პროკურორი სრულიად თავისუფალი ყოფილიყო ვისიმე ზეგავლენისაგან, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა რევოლიუციონური კანონიერების მტკიცედ დაცვა და ურყევად გატარება. პროკურატურის დებულება მაშინ სწორედ ამ პრინციპზე იქნა შედგენილი და გამოქვეყნებული. „პროკურორი პასუხს აგებს იმისთვის, რომ არც ერთი გადაწყვეტილება არც ერთი ადგილობრივი ხელისუფლებისა არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს“. ცხადია, ამას პროკურორი ცხოვრებაში ვერ გაატარებს თუ ის დამოუკიდებელი და უზრუნველყოფილი არ არის ადგილობრივ ზეგავლენისაგან. ატარებდნენ თუ არა ცხოვრებაში ჩვენი პროკურორები ამ 10 წლის განმავლობაში ამხ. ლენინის ამ მოთხოვნას? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ატარებდნენ, მაგრამ ხშირად ძალიან ხუსტად და არასაკმაოდ.

ჩვენი პროკურორის დღესაც ვერ შეუგნია ე. წ. **საერთო ზედამხედველობის** მნიშვნელობა, ჯერ კიდევ ხასებით ვერ გამოუყვნიათ ეს ბასრი იარაღი რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეში. ეს დიდი ნაკლი ჩვენ უნდა აღვნიშნოთ პროკურატურის არსებობის 10 წლის თავზე.

რას ნიშნავს საერთო ზედამხედველობის განხორციელება? ეს ნიშნავს პროკურორის მიერ თვალყურის დევნებას, რომ კანონი სწორედ და ურყევად იქნას გატარებული ყველა ორგანოების მიერ. რომ უმალესი პატივით და საბჭოთა ორგანოების დადგენილებანი და კანონებულებანი სისწორით ტარდებოდეს ცხოვრებაში. ამით პროკურორი ყოველ ცალკე შემთხვევაში ამყარებს კანონის დარღვევის ფაქტებს და დამნაშავე პირებს პასხისგებაში აძლევს, რითაც რეპრესიული თუ გამფორთხილებელი ზეგავლენით ასწორებს და ზრდის დამნაშავეებს, ანადგურებს ან ახშობს კლასიურ მტრებს, სოციალისტურ მშენებლობის ყველა დეზორგანიზატორებს და აფორთხილებს დანარჩენებს, რომ კანონი არ იქნეს მომავალში დარღვეული. ამით პროკურორი პარტიას და ხელისუფლებას უწევს დახმარებას, პარტიის გენერალური ხაზის სწორად და ურყევად გატარებაში.

მაგრამ ხშირად ამ საშუალებას, ვიმეორებ არასაკმაოდ ვიყენებთ. მაგალითად, გასულ წელს ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები განსაკუთრებით სოფლად პროკურატურამ თავის დროზე ვერ გამოამჟღავნა. თავის დროზე სათანადო ორგანოებს ვერ მისცა საჭირო ნიშნები ამ შეცდომების ადსაკეთებად, პირიქით, დაეურდნო რა თვითმდინარებას, ის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობას ღებულობდა ამ შეცდომების დაშვებაში.

საერთო ზედამხედველობის განხორციელება იმიტომ იყო ხუსტად დაყენებული, რომ დღემდე პროკურორი თავის მუშაობაში ვერ იყენებდა მასიური მუშაობის მეთოდს, ის ხშირად მოწყვეტილი იყო მუშათა და ღარიბ-ხაშულო გლეხების მასებს, არ ჰქონდა მჭიდრო კავშირი პროფესიონალურ კავშირებთან და მუშ-გლეხკორებთან, ხუსტად ხელმძღვანელობდა პროკურატურის დამხმარე უფროსებს, საწარმოო-სააბონენტო და სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოებს. ერთი სიტყვით, დღემდე არ იყო სათანადოთ დაყენებული მასიური მუშაობა. თუ მასიური მუშაობა ხუსტია, ცხადია, ხუსტი იქნება საერთო ზედამხედველობაც. ჩვენი მუშაობის ეს ხუსტი მხარეც უნდა ვაღიაროთ 10 წლისთავთან დაკავშირებით.

პროკურორი ვალდებულია თვალყური ადევნოს, რათა კანონი ყოველგან და ყველას მიერ გაგებული იყოს ერთნაირად. ამხ. ლენინი ზემოთ აღნიშნულ წერილში სხვათა შორის სწერდა კანონის ერთიანობაზე: „**კანონი არ შეიძლება კალეიდის სხვა იყოს და ყაზანის სხვა**, ის უნდა იყოს ერთი არამც და რუსეთისათვის, არა მედ ფედერაციის ყველა რესპუბლიკებისათვის“... ჩვენც ვამბობთ, არ შეიძლება კანონი **ზუგდიდში** სხვა იყოს და **ყვარელში** სხვა, ის ყოველგან ერთი უნდა იყოს და ამ კანონის **ერთნაირად** უშუალო გამტარებელი არის საბჭოთა პროკურორი. როცა კანონის ერთიანობაზე მიუთითებდა ამხ. ლენინი, მას მხედველობაში ჰქონდა პროკურორის ადგილობრივი გავლენისაგან განთავისუფლება, მისი დამოუკიდებლად მუშაობის დაკვიდრება და მით რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება უშრომელ ყოფა. იუსტიციის ორგანოები უზრუნველყოფილი ვიყავით თუ არა ამ მხრით ამ 10 წლის განმავლობაში? უნდა ვსთქვათ, რომ არა! ხშირად იუსტიციის ორგანოების ოპერატიულ მუშაობაში ერეოდნენ ცალკეული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რითაც უხეშად ამახინჯებდნენ რევოლიუციონურ კანონიერებას და მით ხელს უწყობდნენ სხვადასხვა სახის გადახვევებს პარტიის ხაზიდან. ასეთი ჩარევა ზოგიერთ შემთხვევაში ზოგ პირისაგან უტიფარ ხასიათს ატარებდა და სისხლის სამართლის დანაშაულამდეც მიდიოდა. ასეთი ჩარევით ჩვენ დღესაც ხშირად ვღებულობთ „კალეიდის“ და „ყაზანის“ კანონებს. ამ ნაკლის გამოსწორება მარტო იუსტიციის მუშაკებზე არ არის დამოკიდებული, აქ საჭიროა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოების მაგარი ხელი, მათ შეუძლიათ ამ ნაკლის აღკვეთა. ამ მხრით ნაბიჯი უკვე გადადგმულია, და იმედი გვაქვს მის ცხოვრებაში გატარების ადგილობრივი პარტიული ორგანოები ხელს შეუწყობენ. ჩვენ დღეს გვაქვს მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ რევოლიუციონური კანონიერების მტკიცედ და ურყევად გატარებას. ასეთებია საკავშირო ცკის და სახკომსაბჭოს 1932 წ. 25 ივნისის დადგენილება, ს.კ. კომპ. ცკ-ის 27 ივნისის დადგენილება, რომელიც წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს, რათა იუსტიციის ორგანოების ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ რევკანონიერების გატარებაში. ჩვენ გვაქვს ა.-კ. და საქართველოს მთავრობის ამავე აზრის დადგენილება, ყველა იცნობს სახ. ც. სახ. კომ. პლენუმის დადგენილებას იუსტიციის ორგანოების გამოკვლევასთან დაკავშირებით. ჩვენი ვალია აღნიშნული დადგენილებები ფართოდ გავაცნოთ ფართო მშრომელთა მოსახლეობას და უზრუნველვყოთ მათი უნაკლოთ ცხოვრებაში გატარება. რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებას სახრგებლოდ მომხდარი გარდატება იუსტიციის მუშაკებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ და მით თავიდან აიცილონ მოსალოდნელი შეცდომები და დამახინჯებანი. ამ ამოცანის შესრულებას ეუყენებთ ჩვენ 10 წლის ამხ. ლენინი პროკურორის მთავარ მოვალეობად სთვლიდა საქმის სასამართლომდე ჩქარა მიტანას და მისი თავის დროზე და კანონიერად გარჩევას. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორი ვალდებულია სიარული საქმის წედამხედველობის წესით ჩქარა გამოამჟღავნოს დანაშაული, აღძრას სისხ. სამ. წესით საქმე და მიიღოს ზომები აღძრულ საქმის თავის დროზე გამოსაძიებლად და სასამართლოში დროზე გასარჩევად. ამხ. ლენინი ამით მოუწოდებდა პროკურორებს ძირშივე აღეკვეთად იუსტიციის[illegible] ორგანოებში ბიუროკრატიზმი, ვოლოკიტა, საქმის გაჭიანურება. სამწუხაროთ, 10 წლის მანძილზე ჩვენი მდგომარეობა ამ მხრით ვერ იყო სახარბიელო. ჩვენი საგამომძიებლო აპარატი ძალიან ნელი ტემპით და სუსტად მუშაობდა, ხშირად ნახავდით თქვენ 3-4 წლის აღძრული დაუმთავრებელ საქმეებს, ასეთივე მდგომარეობა იყო სასამართლოებშიაც. დღეს ამ მხრივ საქმე საგრძნობლად გამოსწორებულია, ჩვენ ამ დარგში ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობი ნი ღწევები გვაქვს და უნდა შეეცადოთ საქმის კიდევ უკეთესად მოგვარებას. აღძრული საქმის დროზე დამთავრებას პროკურორი კვალ და კვალ უნდა სდევდეს, კონტრ-რევოლიუციონურ ხასიათის სისხ. სამ. საქმეებს პირველ რიგში უნდა უშვებდეს, თანამდებობრივ დანაშაულობის საქმეებს ჩქარა ტემპით უნდა ამთავრებდეს და უნდა უზრუნველყოფდეს მათ დროზე გარჩევას სასამართლოებში. პროკურორი აგრეთვე მოვალეა ჩაერიოს ისეთ სამოქალაქო საქმეებში, რომლებთანაც ხასელმწიფო და მშრომელი მასა დაინტერესებულია, პროკურორმა უნდა იზრუნოს, რომ შრომისა და ალიმენტის საქმეები პირველ რიგში ირჩეოდეს.

ამრიგად საერთო ზედამხედველობის განხორციელება, ამ ზედამხედველობის მასიური მუშაობით გახმტკიცება და გამაგრება, აღძრულ საქმეების ჩქარი ტემპით და კანონიერად განხილვა და დამთავრება, იუსტიციის ორგანოებში კლასიური ხაზის სწორად გატარების უზრუნველყოფა, კლასიური მტრების მიმართ რევრისების მთელი სიმძიმის გადატანა, შემთხვევით დამნაშავეთა—მშრომელი მერყევ ელემენტებისადმი აღმზრდელობითი მეთოდის გამოყენება—აი, მოკლედ ის ოვალთვალნი, რაც დაკანონა პარტიამ და ხელისუფლებამ საბჭოთა პროკურორს. ეს არ არის ადვილი საქმე, მის შესასრულებლად საჭიროა უკეთ მომზადებული კადრი იუსტიციის მუშაკებისა, ჩვენ კი ამ მხრით დღეს სუსტად გვაქვს საქმე. ეს კადრი ჩვენ უნდა გამოვასწოროთ, კადრების მომზადება-გადამზადების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, აგრეთვე ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაკების სათანადო ლიტერატურით უზრუნველყოფას.

ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავამაგროთ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები, ყველაფერი ეს საჭიროა იმისათვის, რომ იუსტიციის ორგანოებმა ხელი შეუწყონ ქალაქად საწ.-სოფ. გეგმებისათვის ბრძოლას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას მუშათა მომარაგების უკეთ დაყენებას. პროკურატურა ბასრი იარაღია კლასიური მტრების და სოციალისტური მშენებლობის ყველა ჯურის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ. ჩვენ მოორე ხუთწლედის მანძილზე და შემდეგაც უნდა შევეცადოთ ამ იარაღის უფრო გამახვილებას და მომარჯვებას, არ ავყვეთ იმ ოპორტუნისტებს, რომლებიც მეორე ხუთწლედში კლასების ამხილებას არიან სხელმწიფო ორგანოების სიკვდილს.

წინ, იუსტიციელებო, იუსტიციის ორგანოების კიდევ უფრო გასამაგრებლად და განსამტკიცებლად!

მ. დოლიძე.

საკ. კომპარტიის (ბ) ა. კ. სამხარეო კომიტეტის რეზოლიუცია საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ

(დამუშავებულია სამხარეო პარტთათბირზე)

ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო-საბჭოთა ვაჭრობის გაშლისათვის მოწვეულ ა. კ. პარტთათბირის შედეგების შესახებ

(საკ. კომპ. (ბ) ა. კ. სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 4—5 აგვისტოს დადგენილება)

1. საკოლმეურნეო - საბჭოთა ვაჭრობის გაშლისათვის მოწვეულ ა.-კ. პარტთათბირის რეზოლიუცია დამტკიცდეს.

2. პარტგანათლების და კომკავშირულ განათლების პროგრამაში შეტანილ იქნას საკოლმეურნეო - საბჭოთა ვაჭრობის საკითხები.

3. პარტთათბირის რეზოლიუციის დამუშავება პარტიულ უჯრედების კრებებზე დაუკავშირდეს ამას, კაგანოვიჩისა და მოლოტოვის გამოსვლებს უცხოეთის მე-8 პარტკონფერენციაზე და ამს. იაკოვლევის წერილს.

4 დაევალოს ა.-კ. მუშგლეხს აგვისტოს დამლევისათვის გააკეთოს მოსხენება ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ამ დირექტივების შესრულების შესახებ სამუშაო ნაწილის, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობის და ინდივიდუალურ მეურნეობების.

2. კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცება და მათი ზრდა.

3. კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ფერმერ-საზოლო გლეხთა ვაჭრობის სწორი სამეურნეო ხელმძღვანელობა, რომელიც არ უნდა გადაიქცეს წვრილმან მეურნეობათა და რომელმაც უნდა უზრუნველყოფოს:

ა) ცენტრალიზებულ სახელმწიფო დამზადების შემცირებულ გეგმების აუცილებლად შესრულება;

ბ) რესურსების გამოსახვა კოლმეურნეობის ვაჭრობისათვის;

გ) გაეიდული პროდუქციის აღრიცხვა და გამოყოფილ პირს ან გამგეობის წერილ ანგარიშვალდებულ კოლმეურნეობა წინაშე;

დ) კოლმეურნის რეალური ხარგებლობა ჩატარებულ ვაჭრობიდან;

ე) ბრძოლა ბიუროკრატიზმის შესაძლებელ შემთხვევებთან იმ პირთა მიმართ, რომლებიც კოლმეურნეობათა მიერ გამოყოფილი არიან პროდუქციის გასასალებლად ბაზრებზე;

ვ) ბრძოლა ყოველგვარ სპეკულიატურ და სხვა კულაკურ განწყობილებასთან და დამახინჯებებთან კოლმეურნეობებში, ბრძოლა ცენტრალიზებულ გეგმების შესრულებისათვის.

4) დაბმარების გაწევა კოლმეურნისა და მშრომელ გლეხობისათვის საკოოპერაციო ბაზრებზე მათი მეურნეობის პროდუქციით გასაღების საქმეში;

ა) საქონლის ბრუნვაში ჩაღაბისაგან დაშორებულ იმ სოფელებისა და რაიონების პროდუქციის მოქცევა, სადაც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ საკოოპერაციო დარგობრივი გაერთიანებანი.

4. ვინაიდან განსაკუთრებულ, მნიშვნელობა აქვს საკოოპერაციო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში.

1. სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის დამზადებითი წარმოების მოწყობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობებში.

2. კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცება და მათი ზრდა.

3. კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ფერმერ-საზოლო გლეხთა ვაჭრობის სწორი სამეურნეო ხელმძღვანელობა, რომელიც არ უნდა გადაიქცეს წვრილმან ვაჭრობად და რომელმაც უნდა უზრუნველყოფოს:

ა) ცენტრალიზებულ სახელმწიფო დამზადების შემცირებულ გეგმების აუცილებლად შესრულება;

ბ) გაეიდული პროდუქციის აღრიცხვა და გამოყოფილ პირის ან გამგეობის წერილ ანგარიშვალდებულ კოლმეურნეობა წინაშე;

გ) კოლმეურნის რეალური ხარგებლობა ჩატარებულ ვაჭრობიდან;

დ) ბრძოლა ბიუროკრატიზმის შესაძლებელ შემთხვევებთან იმ პირთა მიმართ, რომლებიც კოლმეურნეობათა მიერ გამოყოფილი არიან პროდუქციის გასასალებლად ბაზრებზე;

ე) ბრძოლა ყოველგვარ სპეკულიატურ და სხვა კულაკურ განწყობილებასთან და დამახინჯებებთან კოლმეურნეობებში, ბრძოლა ცენტრალიზებულ გეგმების შესრულებისათვის.

5) დახმარების გაწევა კოლმეურნისა და მშრომელ გლეხობისათვის საკოოპერაციო ბაზრებზე მათი მეურნეობის პროდუქციით გასაღების საქმეში;

ა) საქონლის ბრუნვაში ჩაღაბისაგან დაშორებულ იმ სოფლებისა და რაიონების პროდუქციის მოქცევა, სადაც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ საკოოპერაციო დარგობრივი გაერთიანებანი.

4. ვინაიდან განსაკუთრებულ, მნიშვნელობა აქვს საკოოპერაციო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში.

1. სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის დამზადებითი წარმოების მოწყობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობებში.

2. კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცება და მათი ზრდა.

3. კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ფერმერ-საზოლო გლეხთა ვაჭრობის სწორი სამეურნეო ხელმძღვანელობა, რომელიც არ უნდა გადაიქცეს წვრილმან ვაჭრობად და რომელმაც უნდა უზრუნველყოფოს:

ა) ცენტრალიზებულ სახელმწიფო დამზადების შემცირებულ გეგმების აუცილებლად შესრულება;

ბ) გაეიდული პროდუქციის აღრიცხვა და გამოყოფილ პირის ან გამგეობის წერილ ანგარიშვალდებულ კოლმეურნეობა წინაშე;

გ) კოლმეურნის რეალური ხარგებლობა ჩატარებულ ვაჭრობიდან;

დ) ბრძოლა ბიუროკრატიზმის შესაძლებელ შემთხვევებთან იმ პირთა მიმართ, რომლებიც კოლმეურნეობათა მიერ გამოყოფილი არიან პროდუქციის გასასალებლად ბაზრებზე;

ე) ბრძოლა ყოველგვარ სპეკულიატურ და სხვა კულაკურ განწყობილებასთან და დამახინჯებებთან კოლმეურნეობებში, ბრძოლა ცენტრალიზებულ გეგმების შესრულებისათვის.

4

პარტიული მშენებლობა

ვიბრძვით მოსკოვის ბოლშევიკების გამოცდილების გადმოტანისათვის

„დაწესებული ერთიანი პარტიული დღე უნდა გადაიქცეს შინაპარტიული, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის გაშლის და კომუნისტების შემდგომ იდეურ-პოლიტიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ბერკეტად“

სტალინის რაიონის პარტიული ორგანიზაცია გაცხოველებით ემზადება მორიგი პარტდღისათვის

სტალინის რაიონის პარტიული ორგანიზაცია გაცხოველებით ემზადება მორიგი პარტდღისათვის.

14 აგვისტოს სტალინის რაიკომის ბიუროს მიიღო სპეციალური დადგენილება მოსკოვის ორგანიზაციის გამოცდილების გადმოტანის შესახებ. სტალინის რაიონის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში და პარტმასიური ნოშაობის გარდაქმნის ხარისხის შემოწმების შესახებ.

პარტრაიკომი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისათვის იწვევს პარტკომიტეტების, პარტკოლექტივების, უჯრედების მდივნების, ძირეულ პარტრგოლების, კლუბების გამგეების და მრავალტირაჟიან კედლის გაზეთების რედკოლეგიების სპეციალური თათბირის, რომელზედაც მოსმენილი იქნება საინსტრუქციო მოხსენება პროკოვის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების გადმოტანის შესახებ.

ადგილებზე პრაქტიკული დახმარების ალმოსაჩენად მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისათვის იწვევენ რაიკომის ბიუროს წევრები და პასუხისმგებელი ამხაგები.

მუშაობის უკეთესი ჩატარებისათვის რაიკომი სოცშეკიბრებაში იწვევს **შაუბნინის რაიკომს** (ბაქო) და **თბილ. ორგანიზაციის ლენრაიონს.**

რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში პარტდღის მოსამზადებელი მუშობის უკეთესად ჩატარებისა და მოსკოვის პარტორგანიზაციის პარტიული მუშაობის გარდაქმნის გამოცდილების გადმოტანისათვის გამოსალა სოციალისტური შეჯიბრება.

მაუდის ფაბრიკის პარტკოლექტივის მდივანმა სოცშეკიბრებაში გამოიწვია ტრამვაის პარტკომიტეტი. ამ უკანასკნელმა კი ამავე მიზნით გამოიწვია კალინინის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაცია.

რაიონის ზოგიერთ წარმოებებში ჩატარებული იქნა მფრინავი კრებები მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების გადმოტანის შესახებ. სტალინის რაიკომის ბიუროს მიიღო სპეციალური დადგენილება მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში და პარტმასიური ნოშაობის გარდაქმნის გამოცდილების გადმოტანის შესახებ. სტალინის რაიკომის ბიუროს მიიღო სპეციალური დადგენილება მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში და პარტმასიური ნოშაობის გარდაქმნის გამოცდილების გადმოტანის შესახებ.

14 აგვისტოს სტალინის რაიკომის ბიუროს მიიღო სპეციალური დადგენილება მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში და პარტმასიური ნოშაობის გარდაქმნის გამოცდილების გადმოტანის შესახებ. სტალინის რაიკომის ბიუროს მიიღო სპეციალური დადგენილება მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში და პარტმასიური ნოშაობის გარდაქმნის გამოცდილების გადმოტანის შესახებ.

მოსამზადებელი მუშაობა ფართოდ გაიშალა

(26 კომ. რაიონი)

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარების რაიონში ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მოსკოვის მოწინავე ქარხნების „დინამო“-ს, ელექტროქარხნის და სხვ პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების გადმოტანისათვის.

გუშინ რაიკომში შესდგა მსგავსი საწარმოთა პარტკოლექტივის მდივნების გაუკართოებული თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა საინფორმაციო მოხსენება მორიგი პარტდღის 20 აგვისტოსათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შესახებ.

თათბირზე გამოტანილი დადგენილების თანახმად **დღეს საღამოს 7 საათზე რაიკომში** შესდგება რაიონში შემავალ პარტკომიტეტების, პარტკოლექტივების, უჯრედების მდივნების, პარტგუფორგების, კლუბის გამგეების და მრავალ ტირაჟიან კედლის გაზეთების რედაქტორების გაფართოებული თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენება მოსკოვის მოწინავე ქარხნების პარტორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების გადმოტანის და მორიგ პარტიულ დღისათვის მოსამზადებელი მუშაობის გაშლის შესახებ.

ლი.

გადმოვიტანოთ მოწინავეთა გამოცდილება

(ორჯონიკიძის რაიონი)

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აბრ. **ორჯონიკიძის სახელობის რაიონულ კომიტეტის** ბიუროს საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს დადგენილების საფუძველზე გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი პარტდღის 20 აგვისტოს ჩასატარებლათ, რომელიც მიზნათ ისახავს მოსკოვის ორგანიზაციის გამოცდილების გადმოტანას და მის გამოყენებას ორგაიზაციულ პარტიულ აღმზრდელობითი და მასიურ-პოლიტიკურ მუშაობის გარდასაქმნელად.

14 აგვისტოს რაიონულმა კომიტეტმა მოიწვია პარტუჯრედების ინფორმატორების კრება, სადაც გახილული იქნა „რაბოჩაია მოსკვა“-ს შემცველ გეერდში მოთავსებული საკითხები.

რაიონულ კომიტეტმა შედარებით ჩამოაყალიბილ ორგანიზაციებში ორგპარტმასიური მუშაობის გარდასაქმნელად დაგხავნა ორგპარტჯგუფები შემდეგი ორგანიზაციებიდან: „ზარია ვოსტოკა“-ს, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიიდან, კავშირგაბმულობის უჯრედიდან, კოლმეურნეობათა ცენტრიდან, საქ. ტრაქტორცენტრიდან, პროკურატურის და სასაათოროს უჯრედიდან.

დღეს, 16 აგვისტოს რაიკომში მოწვეულია საინსტრუქციო თათბირი უჯრედის მდივნებისა და გამოყოფილ მომხსენებლების, მოსკოვის პარტორგანიზაციის გამოცდილების შესწავლისა და გადმოტანის მიზნით.

გუშინ ძირითად პარტგოლებამდე დაყვანილი იყო რაიონული კომიტეტის დირექტივა „რაბოჩაია მოსკვა“-ს ცალითი გეერდის განხილვის შესახებ. გარდა ამისა მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად ქარხნებში და საწარმოებში ჩასახნავად დაგზავნილ იქნა 7 თვითშემოწმებელი ბრიგადა, რომლებსაც დაევალათ **პარტმასიური მუშაობის შემოწმება საამქროებში.** ამასთანავე თვითშემოწმებელ ბრიგადებს დაევალათ, პარტმასიურ მოშობაში შენიშნეული დეფექტების აღმოსაფხვრელად დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი და უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნონ პარტიულ-მასიურ მუშაობის დეფექტები. რის შემდეგ პარტმუშაობის გამოცდილება წერილობით გაუზიარონ მოსკოვის პარტორგანიზაციებს.

ამასთან ერთად თბილისში 30 აგვისტოსათვის უშვებენ კედლის გაზეთის სპეციალურ ნომერს, რომელშიც გამუშებული იქნება მოსკოვის და ადგილობრივ ფაბრიკის პარტორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება.

კ. ი.

გამოვასწორებთ შემჩნეულ დეფექტებს

(ამხ. სტალინის სახ. ქარხანა)

ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ბოლშევიკურად შეუდგა მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებას მოსკოვის პარტორგანიზაციის გამოცდილების გადმოსატანად ქარხანაში პარტიულ-მასიური მუშაობის გარდაქმნისათვის.

14 აგვისტოს მუშაობის დამთავრების შემდეგ ქარხნის პარტკომიტეტმა მოიწვია პარტუჯრედების მდივნების და პარტაქტივის გაფართოებული თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოსკოვის მოწინავე ქარხნების პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის გამოცდილების გადმოტანის და მორიგ პარტიული დღისათვის მოსამზადებელი მუშაობის გაშლის შესახებ.

თათბირზე აგრეთვე გამოყოფილი იქნა 2 პარტჯგუფი, რომელსაც დაევალა ჩამორჩენილ საწარმოო ერთეულების პარტორგანიზაციებს გაუწიონ დახმარება პარტიულ-მასიურ მუშაობის გარდაქმნის საქმეში.

დ. თ.

საქ. მსუბუქი მრეწველობის მუშაობის შედეგები

1-ლი აგვისტოსათვის

შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 86,8 პროცენტით

იქლისის განმავლობაში საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ ვერ მოგვცა ბრწყინვალე გარდატეხა, მართალია, წინა წლის შესაფერის პერიოდთან, წელს ჩვენი მსუბუქი მრეწველობა გვაძლევს ზრდის მაღალ ტემპებს, მაგრამ მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა შესრულებას იგი მაინც ვერ უზრუნველყოფს. მიმდინარე წლის განვლილ შვიდ თვეში, 1931 წლის შესაფერის პერიოდთან შედარებით საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ზრდის ტემპი უდრის 16,6 პროცენტს.

წლის დასაწყისიდან 1-ლ აგვ. საქ. მსუბუქ მრეწველობას უნდა მოეცა (მტკვრის ფასებში) 54.599.800 მანეთის საერთო პროდუქცია. აქედან მარტო იქლისის განმავლობაში გათვალისწინებული იყო 8.590.200 მანეთის პროდუქციის გამოშვება, ფაქტიურად არც შვიდი თვის და არც იქლისის გეგმები არაა შესრულებული. განვლილ 7 თვეში მოცემულია 47.374.000 მანეთის პროდუქცია, ანუ გეგმა შესრულებულია 86,8 პროცენტით.

ამგვარად განვლილი შვიდი თვის განმავლობაში მსუბუქმა გეგმა ვერ შეასრულა 13,2 პროცენტით, ანუ მას დააკლდა 7.225.800 მანეთად ღირებული პროდუქციის გამოშვება.

იქლისის გეგმის შესრულებაში კიდევ მეტი ჩამორჩენილობაა. ნაცვლად 8.590.200 მანეთის პროდუქციისა, აღნიშნულ თვეში გამოშვებულ იქნა 6.819.500 მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 79,4 პროცენტით შესრულებას უდრის. ამნაირად, იქლისის გეგმა შესრულებულია 20,6 პროცენტის ჩამორჩენილობით.

მსუბუქი მრეწველობის **ასეთი დიდი ჩამორჩენილობა** იქლისში, განვლილი 7 თვის ჩამორჩენილობასთან შედარებით იხსნება იმ გარემოებით, რომ იქლისის განმავლობაში მსუბუქმა მრეწველობამ მიიღო დავალება ფართო მობპარების საჭონლის გამოშვების გადიდების შესახებ, რაც მას უნდა შეესრულებია მრეწველობის სხვადასხვა ნარჩენების გამოყენების საშუალებით. მაგრამ ამ მხრივ დაწუებულმა მუშაობამ ვერ უზრუნველყო იქლისის გადიდებული გეგმის შესრულება, თუმცა წინა თვეებთან შედარებით იქლისში მრეწველობამ მაინც მეტი ნაოდენობის პროდუქცია მოგვცა, ვიდრე წინა თვეებში.

აღსანიშნავია, რომ ფართო მობპარების საჭონლის გამოშვების გადიდების საშუალებით, მთელ რიგ საწარმოებს 7 თვის გეგმა გადაჭარბებით აქვთ შესრულებული, ხოლო იქლისის გეგმა კი შეუსრულებელია, სავარაუდოა, მაგალითად, 7 თვის გეგმის შესრულება 19,4 პროცენტის გადაჭარბებით, ხოლო იქლისის გეგმა მას შესრულებული აქვს 99,8 პროც.

მსუბუქი მრეწველობის დანარჩენ საწარმოებს შორის, როგორც შვიდი თვის, ასე იქლისის გეგმებს შესრულებაში დაწინაურებულნი—საქარაცხლების წარმოება, ტყავის მეორე ქარხანა, ბათომის სამკერვალო ფაბრიკა და თბილისის 1-ლი სამკერვალო ფაბრიკა და თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „პროლეტარი“.

ტყავის წარმოება 7 თვის გეგმა შესრულდა 95,5 პროცენტით, ხოლო იქლისის გეგმა 63,9 პროცენტით. 1-ლი აგვისტოსათვის, ტყავის დამუშავების წარმოებას უნდა მოეცა 1.883.000 მანეთის პროდუქცია, ხოლო მარტო იქლისში უნდა მოეცა 419.100 მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად განვლილ 7 თვეში მიღებულია 1.797.400 მანეთის და იქლისში — 267.800 მანეთის საერთო პროდუქცია.

ტყავის 1-ლ ქარხანას 7 თვის გეგმა შესრულებული აქვს 91,4 პროცენტით ხოლო იქლისის გეგმა 54,8 პროცენტით, მეორე ქარხანას—7 თვის გეგმა შესრულებული აქვს—109.4 პროცენტით, ხოლო იქლისის გეგმა—105.8 პროცენტით.

ფეხსაცმელების წარმოებას, წლის დასაწყისიდან 1-ლი აგვისტომდე უნდა მოეცა 2.628.100 მანეთის პროდუქცია, მარტო იქლისის განმავლობაში კი უნდა ყოფილიყო მიღებული 396.100 მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად 7 თვეში მიღებულია — 2.251.300 მანეთის და იქლისში 214.500 მანეთის პროდუქცია, ანუ შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 85,7 პროცენტით, ხოლო იქლისის გეგმა—54,2 პროცენტით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ფეხსაცმელების წარმოება წინა წელთან შედარებით არ გვაძლევეს თავისი ზრდის ტემპის დამაკმაყოფილებელ მაჩვენებელებს.

თმის წარმოებას განვლილ 7 თვეში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ — 922.000 მანეთისა, მოგვცა—991.800 მანეთის პროდუქცია, ანუ გეგმა შესრულა 94 პროცენტით. იქლისის განმავლობაში კი, წარმოებამ მოგვცა 140.700 მანეთის პროდუქცია, მაშინ, როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 164.600 მანეთის პროდუქციის მოცემა. ამნაირად იქლისის გეგმა შესრულებულია 85,4 პროცენტით.

აბრეშუმის საქსოვი წარმოება უფრო დამაკმაყოფილებლად ასრულებს გეგმებს. აბრეშუმის საქსოვმა წარმოებამ (თბილისის აბრ. საქს. ფაბრიკა) განვლილ შვიდ თვეში მოგვცა 5.746.100 მანეთის პროდუქცია, ხოლო გეგმით უნდა მოეცა—5.758.100 მანეთის პროდუქცია. იქლისში კი, ამავე წარმოებას უნდა მოეცა 903.100 მანეთის პროდუქცია, ხოლო ნამდვილად მოგვცა 844.100 მანეთის პროდუქცია.

ამგვარად, აბრეშუმის საქსოვმა წარმოებამ შვიდი თვის გეგმა შეასრულა 99,8 პროცენტით და თვლისის გეგმა—93,5 პროცენტით. წინა წლის შესაფერის პერიოდთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპი უდრის—43,5 პროც.

აბრეშუმის სატრიკოტაჟო წარმოებამ შვიდი თვის გეგმა შეასრულა 88,6 პროცენტით და იქლისის გეგმა—93,5 პროცენტით 1-ლი აგვისტოსათვის აღნიშნულ წარმოებას უნდა მიეცა 1.676.400 მანეთის პროდუქცია, ხოლო ნამდვილად მოგვცა 1.484.700 მანეთის პროდუქცია. იქლისში კი უნდა მიგვეცა—211.700 მანეთის პროდუქცია, ხოლო მივიღეთ—179.600 მანეთის პროდუქცია.

წინა წლის შესაფერის პერიოდთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპი უდრის 117,8 პროც.

ბამბის წარმოებამ განვლილი შვიდი თვის გეგმა შეასრულა 88 პროცენტით, ანუ 12 პროც. ჩამორჩენილობით. წლის დასაწყისთან 1-ლ აგვისტომდე უნდა მოგვეცა 2.381.000 მანეთის პროდუქცია, ხოლო ნამდვილად მივიღეთ 2.094.100 მანეთის პროდუქცია. იქლისში კი, წარმოებას უნდა მოეცა 372,600 მანეთის პროდუქცია, ხოლო ნამდვილად მოგვცა 315.400 მანეთის პროდუქცია, ანუ გეგმის 84.6 პროცენტი.

წინა წლის შესაფერის პერიოდთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპი უდრის —44,7 პროცენტს.

ბამბის ქაღალდის წარმოებამ განვლილი შვიდი თვის განმავლობაში — 540.300 მან. ღირებული პროდუქციის ნაცვლად მოგვცა 315.600 მანეთის საერთო პროდუქცია, ანუ გეგმა შესრულა 58,4 პროცენტით. იქლისის განმავლობაში უნდა ყოფილიყო მიღებული 100.200 მანეთის პროდუქცია და ნაცვლად ამისა მიღებულია 52.100 მანეთის პროდუქცია, ანუ თვიური დავალების 55,7 პროცენტი.

ტრიკოტაჟის მრეწველობაც, რომელიც წარმოდგენილია მაუდის ორი ფაბრიკის სახით, ვერ ასრულებს დავალებებს. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა შედარებით დამაკმაყოფილებლად მუშაობს, მაგრამ სამაგიეროთ დიდი გარეჩევები აქვს ქუთაისის ფაბრიკას, რაც გაეკიანას ახლებს საერთოდ მაუდის წარმოების ზრდის ტემპებზე. ჩვენ საფიქრო მრეწველობას განვლილი 7 თვის განმავლობაში უნდა მოეცა 7.391.700 მანეთის პროდუქცია, ხოლო ფაქტიურად მოგვცეს 6.088.500 მანეთის პროდუქცია, რაც საწარმოო გეგმის 82,4 პროც. შესრულებას უდრის, იქლისის განმავლობაში უნდა მიგვეღო 1.253. მანეთის პროდუქცია, ხოლო მივიღეთ 602.000 მანეთის პროდუქცია, რაც თვიური გეგმის 48 პროცენტს უდრის.

მარტო თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას, შვიდი განვლილი თვის განმავლობაში უნდა მოეცა 5.820.900 მან პროდუქცია, ხოლო მოგვცა 5.331.000 მანეთის პროდუქცია, ანუ გეგმა შესრულა 91,6 პროცენტით, იქლისში, ამავე ფაბრიკამ გეგმით გათვალისწინებული 967.900 მანეთის პროდუქციის ნაცვლად მოგვცა — 540.100 მანეთის პროდუქცია, ანუ თვიური დავალება შესრულდა—55,8 პროც.

ამავე დროს ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ შვიდი თვის გეგმა შეასრულა 45,3 პროცენტით და იქლისის თვიური გეგმა—21,7 პროცენტით. ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგების საწარმოთა შორის ყველაზე სამარცხვინო ჩამორჩენილია.

ფაბრიკა „პროლეტარმა ქალმა“ შვიდი თვის სულ. გეგმა შეასრულა 87,4 პროცენტით, ანუ ნაცვლად გათვალისწინებული 509.100 მანეთის პროდუქციისა მოგვცა 445.000 მანეთის პროდუქცია. იქლისის გეგმა იმავე ფაბრიკას შეასრულებული აქვს 99,2 პროცენტით, ანუ ნაცვლად გათვალისწინებული 60.000 მანეთის პროდუქციისა თვის განმავლობაში მოცემულია 26.800 მანეთის საერთო პროდუქცია.

სამკერვალო მრეწველობამ წლის დასაწყისიდან 1-ლ აგვისტომდე 24.865.600 მანეთის პროდუქციის ნაცვლად, გამოუშვა 21.069.300 მანეთის პროდუქცია, რაც დავალების 84,7 პროცენტს შეადგენს. იქლისის განმავლობაში **სამკერვალო მრეწველობას** უნდა მოეცა 3,529,300 მანეთის პროდუქცია, ხოლო ფაქტიურად მოგვცა — 3.294.600 მანეთის საერთო პროდუქცია, რაც თვიური გეგმის 93,3 პროცენტს უდრის.

სამკერვალო მრეწველობის ცალკე ფაბრიკებიდან გეგმები შესრულებული აქვთ: 1-ლ ფაბრიკას შვიდი თვის გეგმა—89,4 პროც., ხოლო იქლისის გეგმა 98,8 პროცენტი; მეორე ფაბრიკას—შვიდი თვის გეგმა 91 პროცენტით, ხოლო იქლისის გეგმა 91,4 პროცენტით; ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკას—შვიდი თვის გეგმა—60 პროცენტით და იქლისის გეგმა—95,7 პროცენტით (ფაბრიკას გარდეეცა ჰქონდა წინა თვეებში); ბათომის ფაბრიკას—შვიდი თვის გეგმა —85,2 პროცენტით, ხოლო იქლისის გეგმა 153,9 პროცენტით და მე-6 ფაბრიკამ შვიდი თვის გეგმა შეასრულა 77 პროცენტით, ხოლო იქლისის გეგმა—45,3 პროცენტით.

